

Image not found or type unknown

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

1. მიმდინარე წლის 20 და 21 სექტემბერს, საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „Facebook“-ის გვერდის [საშუალებით](#), გავრცელდა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს მხარდამჭერი სააგიტაციო ინფორმაცია.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მსჯელობა უწყებაშორის კომისიაზეც წარიმართა, სადაც კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, სამინისტროს „Facebook“-ის გვერდიდან აღნიშნული ინფორმაციის მოხსნა მოხდა და სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, პასუხისმგებელ პირებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

1. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში თბილისისა და საქართველოს რეგიონების მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით სმს შეტყობინებები დაეგზავნა, რომელთა საშუალებითაც მოსახლეობას მიენოდა ინფორმაცია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შესახებ.

იმ მოტივით, რომ ხომ არ ხდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და არჩევნების წინ ამომრჩევლების განწყობებზე გავლენის მოხდენის მცდელობა, საიას წარმომადგენლებმა საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია, თუ რა პერიოდიდან არის განსაზღვრული აღნიშნული კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან და ბიუჯეტის რომელი მუხლიდან მოხდა მომსახურების მიღება, აგრეთვე ყველა შესაბამისი დოკუმენტის ასლი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე იკვეთება, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას არ ჰქონდა ბიუჯეტში წინასწარ განსაზღვრული თანხები სმს მომსახურების დასაფინანსებლად, თუმცა განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ იანვარში ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების ცვლილება იმ მიზნით, რომ მომხდარიყო სმს სერვისის ღირებულების დაფარვა, რაც სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას წარმოადგენს.